KA030148143372518

№ 01-9290 **27** / აპრილი / **2018** **წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის ნოე ქინქლაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ სამინისტროში შემოვიდა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 5 აპრილის N06/1653 წერილი, რომელითაც ითხოვენ ცენტრის 2018 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტში ცვლილებების შეტანას, „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ზოგიერთი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების წესის დადგენის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მარტის N676 განკარგულების საფუძველზე. საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება ცენტრისათვის განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში 3 150 000 ლარის ოდენობით (რომლის შესაბამისადაც დამტკიცებულია „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის №01-25/ო ბრძანება), ხოლო საკუთარი სახსრების ფარგლებში - 264 000 ლარის ოდენობით. საკუთარი სახსრების ფარგლებში ცენტრის მიერ მოთხოვნილი ცვლილების შესაბამისად „შრომის ანაზღაურების“ მუხლი გაიზარდა 94 000 ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 358 000 ლარი, ხოლო სულ ჯამში საბიუჯეტო და საკუთარი სახსრების ფარგლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებულმა ასიგნებამ შეადგინა 3 508 000 ლარი, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს საშტატო ნუსხის დამტკიცებას, სადაც სახელფასო ფონდი მოიცავს როგორც საბიუჯეტო, ასევე საკუთარ სახსრებს და შეადგენს 3 507 600 ლარს. აღნიშულ პროექტთან დაკავშირებით წერილი გადაგზავნილი იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომელზეც 2018 წლის 26 აპრილის N04-02/54597 წერილით მივიღეთ თანხმობა.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში ხელმოსაწერად წარმოდგენილი იქნება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნოე ქინქლაძე